თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 3 ივლისი
მორიგი სხდომის
ოქმი № 11

ქ. თერჯოლა 3, ივლისი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაზე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21 ფრიდონ გვენეტაძე, 22. დავით ცხადაძე, 23. ნატალია ასათიანი, 24. კობა კირკიტაძე, 25. მერაბი ბასილაძე, 26. ტარიელ ფანჩულიძე, 27. რუსუდან კოვზირიძე, 28. რონალდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. მანუჩარ ფანჩულიძე, 2. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 28 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{30}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282418016 წერილი, 28.06.2024 წ);

/მომხს. თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 200.0 ათასი ლარით და შეადგენს 31069.7 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. (სხვა შემოსავლები).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. მ/შორის:
წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 180.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კახა ბუცხრიკიძე - ნაციონალური მოძრაობა მხარს არ უჭერს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -17 , წინააღმდეგი - 11

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება N 12, 03.07.2024წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ობიექტებად განისაზღვრა:

ა) სამორინის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული სათამაშო აპარატების თამაშობები.
ბ) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული სათამაშო აპარატების თამაშობები;
გ) ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული ტოტალიზატორის თამაშობები.
ამასთან სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე სათამშო ბიზნესის მოსაკრებლის ზღვრული განაკვეთები განისაზღვრა შემდეგნაირად;

ა) სამორინის თამაშობებზე - კვარტალში 250 000 ლარიდან 300 000 ლარის ჩათვლით;
ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე - კვარტალში 250 000 ლარიდან 300 000 ლარის ჩათვლით;
გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე - კვარტალში 250 000ლარიდან 300 000 ლარის ჩათვლით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -28 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, მისი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 თებერვლის N 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი (დადგენილება № 13, 03.07.2024 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი